ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს შორის

ქ. თბილისი, 2016 წლის 12 დეკემბერი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და მეორე მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – სამსახური), შემდგომში წოდებული მხარეებად, თანხმდებიან, რომ მათი მოქმედებით ხელს შეუწყობენ ადამიანის ჯანმრთელობის, გარემოს, მომხმარებელთა უფლებების და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და აფორმებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მიზანი

მემორანდუმის გაფორმების მიზანია, ხელი შეუწყოს ბაზარზე ზედამხედველობისა და იმპორტის კონტროლის სფეროებში მხარეებს შორის თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლის წესების დამკვიდრებას, რათა მიღწეულ იქნეს ტექნიკური რეგლამენტებით რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტების (შემდგომში პროდუქტი) უსაფრთხოების მაღალი დონე საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 2. თანამშრომლობის სფეროები

მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგ სფეროებში:

ა) ბაზარზე ზედამხედველობის პროგრამების შემუშავება და მათში ცვლილებების შეტანა;

ბ) სააგენტოსა და სამსახურს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;

გ) თანამშრომლებისთვის ერთობლივი ტრენინგების ორგანიზება;

დ) ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში;

ე) იმპორტის კონტროლის საინფორმაციო და ტექნიკური უზრუნველყოფა;

ვ) წინასწარი კომუნიკაცია მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებებისა და მათი შესაძლო შედეგების შესახებ;

ზ) საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებათა პროექტების შემუშავება ისეთ სფეროებში, რაც მოიცავს:

ზ.ა) ბაზრის ზედამხედველობასთან დაკავშირებული საინფორმაციო სისტემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

ზ.ბ) ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელებისას სააგენტოსა და სამსახურის უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრას;

ზ.გ) სააგენტოსა და სამსახურს შორის ინფორმაციის გაცვლას არსებული ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით, ბაზარზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3. დამატებითი შეთანხმება

წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ქმედებების განსახორციელებლად, საჭიროა მხარეები შეთანხმდნენ დამატებით ტექნიკურ დებულებებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ბაზარზე ზედამხედველობის პროცესში პროდუქტის შემოწმების, ანალიზის, შეფასების, მონიტორინგისა და პროდუქტთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების წესებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საფრთხეების პრევენცია, აღკვეთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმი ფორმდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

2. მემორანდუმში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ცვლილებები განიხილება, როგორც მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

3. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის წერილობითი შეტყობინებით, მოქმედების შეწყვეტამდე არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

ხელმოწერილია 2016 წლის 12 დეკემბერს ქ. თბილისში ორ დედნად ქართულ ენაზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის სახელით	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სახელით
სამსახურის უფროსის მოადგილე **ვახტანგ ლაშქარაძე**	სააგენტოს უფროსი **გრიგოლ კაკაურიძე**